


მაია მენაბდე • ნათია ფურცელაძე • ნანა სახეჩიძე

ქართული ლიტერატურა 9

მოსწავლის ნიგნი ნაწილი I



გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს მიერ 2021 წელს.

სარჩევი

პირველი ნაწილი

თემა

ადამიანი და მისი ცხოვრება

თავი 1. ადამიანის ცხოვრების გზა

| | |
|---|----|
| გურამ რჩეულიშვილი მე ახლა ბედნიერი კაცი ვარ | 13 |
| არა კორძაია-სამადაშვილი გიმნაზისტკა | 24 |
| ნაირა გელაშვილი ჩვენება (ანაბეჭდები) | 40 |
| დავით გურამიშვილი დავითიანი | |
| (ლევთაგან დატყოება, სიზმარი ტყვეობასა შინა, ტყვეობიდან გაპარვა) | 58 |
| შოთა იათაშვილი მეგობრობა | 74 |
| ასტრიდ ლინდგრენი, სარა შვარტი შენს წერილებს ლეიბის ქვეშ ვინახავ | 80 |



პირველი ნაწილი

თემა

ადამიანი და მისი ცხოვრება

თავი 2. საზოგადოებაში თანაცხოვრება

| | |
|--------------------------------------|-----|
| გოდერძი ჩოხელი თევზის წერილები | 93 |
| ილია ჭავჭავაძე სარჩობელაზედ | 111 |
| ჭაბუა ამირეკიბი დათა თუთაშეია | 133 |
| პარპერ ლი წე მოკლავ ჭაფარას | 161 |



მეორე ნაწილი

თემა

სამყაროს შეცნობა, ახლის ძიება

თავი 3. განათლება და წიგნები

| | |
|---|-----|
| დავით კლდიაშვილი ჩემი ცხოვრების გზაზე | 177 |
| აკა მორჩილაძის სიტყვა ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზე | 191 |
| კონსტანტინე გამსახურდია ლირიკული ინტერმეცო | 200 |
| რატი ამაღლობელი სეკვენცია | 209 |
| დანიელ პერაკი რომანივით საკითხავი | 216 |



პირველი ნაწილი

თემა

ადამიანი და
მისი ცხოვრება

თავი

1

ადამიანის
ცხოვრების გზა



თავი

2

საზოგადოებაში
თანაცხოვრება



თავი

1

| | |
|---|----|
| გურამ რჩეულიშვილი | |
| მე ახლა ბედნიერი კაცი ვარ | 13 |
| ანა კორძაია-სამადაშვილი | |
| გიმნაზისტკა | 24 |
| ნაირა გელაშვილი | |
| ჩვენება (ანაბეჭდები) | 40 |
| დავით გურამიშვილი | |
| დავითიანი | 58 |
| შოთა იათაშვილი | |
| მეგობრობა | 74 |
| ასტრიდ ლინდგრენი, სარა შვარტი | |
| შენს წერილებს ლეიბის ქვეშ ვინახავ | 80 |

ადამიანის ცხოვრების გზა

შესავალი


ამ სახელმძღვანელოს დახმარებით შენ დაფიქრდები ყველა იმ აუცილებელ თემაზე, რომელთა გათვალისწინება მნიშვნელოვანია პიროვნების სწორად ჩამოყალიბებისთვის.

თავდაპირველად ადამიანის ცხოვრებას განსაზღვრავს მიკროსამყარო, რომელშიც ხვდება დაპატიჟისთანავე – ეს ოჯახია. შემდეგ ის დამოუკიდებლად ადგება გზას, რომელიც მხოლოდ მისი გასავლელია, რათა ინდივიდუალ ჩამოყალიბდეს.

ამ გზაზე მიჰყება მას როგორც თავის ოჯახში მიღებული ცოდნა-გამოცდილება, ასევე, ეხმარება იმ ადამიანებთან ურთიერთობა, რომლებიც ოჯახის წევრების პარალელურად ჩნდებიან მისივე ცხოვრებაში – მეგობრები.

ადამიანის ცხოვრების სწორედ ამ ას-პექტებს ეხება ამ თავში შემავალი ტექსტები, რომლებიც, იმედი გვაქვს, გაპოვნინებს პასუხს კითხვებზე:

- რამდენად მნიშვნელოვანია ოჯახის როლი ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებისთვის?
- რა განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრებას – მისი პირადი არჩევანი თუ სხვა ფაქტორები?
- როგორ შეიძლება გავუმკლავდეთ ცხოვრებისეულ განსაცდელს?
- რატომ არის მნიშვნელოვანი, გაუგო სხვა ადამიანს?



გაიცანი ავტორი

მწერალი ნუგზარ წერეთელი გურამ რჩეულიშვილის უახლოესი მეგობარი იყო. მან 26 წლის გურამის ტრაგიულად დაღუპვის შემდეგ (გურამ რჩეულიშვილმა გადაარჩინა ადამიანი, რომელიც ზღვაში იხრჩობოდა, მაგრამ თვითონ ვეღარ შეძლო გამოსვლა) მეგობარს წიგნი მიუძლვნა: „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“.

იმისთვის, რომ გაიგო, რამდენად საინტერესო მწერალი იყო გურამ რჩეული-შვილი, გაეცანი ამონარიდა ჟურნალისტ ირინე მჭედლიძის ინტერვიუდან ნუგზარ წერეთელთან:

„გურამ რჩეულიშვილს უყვარდა ზღვა, იყო მთამსვლელი და მთებშიც ხშირად დადიოდა. როგორ ფიქრობთ, ხიფათს თავად ხომ არ ეძებდა?

შეიძლება ასეც ითქვას, რომ იგი ხიფათს ეძებდა. მთასა და ზღვაზე გიჟდებოდა, ისე უყვარდა. ფიზიკურად საოცრად ამტანი იყო. მეც ამიყვანა სამ მწვერვალზე. როცა მყინვარწვერზე მივდიოდით, ფეხით სიარული ვეღარ შევძელი. სიარულს ისიც ართულებდა, რომ ზურგზე მძიმე ჩანთა მეკიდა. გურამმა მომხსნა ზურგ-ჩანთა, თავის ჩანთასთან ერთად მოიკიდა და 5 კილომეტრი თვითონ ატარა.

ფიზიკურად როგორი იყო?

საოცრად ლამაზი ადამიანი იყო. წვრილი წელი და დაკუნთული, ლამაზი ტანი პქონდა. მაღალი იყო, ბუნებით – უწყინარი, თუმცა ვინმე თუ შეურაცხყოფას მიაყენებდა, არ აპატიებდა.

ერთხელ თბილისის ზღვაზე წაგვიყვანა და ზღვა სიგრძით გადაცურა. შიშით ველოდებოდით ნაპირზე მის გასვლას. ეს ჩვენთვის საოცნებო იყო.

ცნობილია, რომ გურამი არაორდინალურად იცვამდა.

გურამი ჩაცმითაც გამოირჩეოდა. მუდამ საკინძეშეხსნილი დადიოდა, ფეხზე ბათინკები ეცვა. ჩაცმულობაზე ხშირად აძლევდნენ შენიშვნებს. ერთხელ, მარტში, მოსკოვში ვიყავით, საქართველოს დეკადის¹ დლეები ტარდებოდა, ყველა პიჯაკში იყო გამოწყობილი, გურამს კი საკინძე მკერდამდის პქონდა შეხსნილი, ამისთვის ყველა საყვედურობდა.

ჩვენს დროს ჩასაცმელი არ იშოვებოდა. ერთხელ ჩემმა ძმამ რკინებით გაწყობილი ბათინკები იყიდა ჩემთვის. მას ისე მოსწონდა, რას არ მომცემდა, ოღონდ კი ისინი მეთხოვებინა. ძალიან უყვარდა და უხდებოდა მეზღვაურის მაისური, იმ საბედისწერო დღესაც ის მაისური ეცვა...

რამდენიმე თვით სამხედრო სამსახურში ვიყავით გაწვეული. იქ ძალიან მკაცრად გვექცეოდნენ, ერთი ღილის გახსნაც არ შეიძლებოდა, გურამი კი ახერხებდა, რომ არც სამხედრო ფორმა ჩაეცვა და კუბოკრული პერანგითაც ევლო. პიჯაკს იშვიათად იცვამდა.



(1934-1960)
ქართველი მწერალი.
სულ რამდენიმე
წელს იღვანა
სამწერლო
ასპარეზშე.

1 დეკადა – დროის
ათდღიანი
მონაცემთი, რაიმე
საზოგადოებრივი
მოვლენისადმი
მიძღვნილი.

ერთხელ, ზაფხულის ცხელ დღეს, შეხვედრა გვქონდა ვერის ბალთან, პიჯაკით მოვი-
და. გაოცებულმა შევხედე, მან კი მითხრა, სიცხემ ჯენტლმენობა არ უნდა დაგაკარ-
გვინოსო. აი, ასეთი მოულოდნელობები უყვარდა...

გურამ რჩეულიშვილმა მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დატოვა. როგორ
მოასწრო ამდენის გაკეთება?



გურამ რჩეულიშვილი
მხატვარი ესმა ონიანი

მართლაც საოცარია, რომ კაცმა, რომელსაც არც მეგობრებთან გართობა, არც ზღვისა და მთის სიყვარული დაუკლია, 5 ტომის დაწერა შეძლო. გუ-რამ რჩეულიშვილი არის მოვლენა, რომელმაც დროს გაუძლო. მას ჰქონდა პერიოდები, როცა თავის ოთახში ჩაიკეტებოდა და დღე და ღამე მუშაობდა, არავის მიიღებდა. ნაცნობ მხატვარს ოთახიც მოახატვინა, რომ თავი მყუდრო გარემოში ეგრძნო.

წერდა ყველგან – ტრანსპორტში, ქუჩაში. ერთხელ „ლალიძის წყლებში“¹ ვი-ყავით. გურამი ცოტა ხნით მარტო დავტოვეთ. როცა დავბრუნდით, ხელსაწ-მენდებზე გამალებით წერდა. მაგიდაზე დახვავებული ჰქონდა ხელსაწმენდე-ბი. ნამოსვლისას ხელი მოავლო და ჩანაწერები ჯიბეში ჩაიწყო.

ამბობენ, გურამ რჩეულიშვილს სიკეთის კეთების უდიდესი ნიჭი ჰქონდაო. უამრავ მაგალითს ჰყვებიან. რაიმეს თქვენც ხომ ვერ გაიხსენებდით?

უამრავი ასეთი შემთხვევის გახსენება შემიძლია. ერთხელ ლესელიძეზე ვნახეთ, რომ იყიდებოდა ჩეხური მაღალყელიანი ფეხსაცმელი, რაც იმ დროს საქართველოში იშვიათი მოვლენა იყო. დიდი ხვეწნის შემდეგ გურამს მამა-მისმა ფეხსაცმელების საყიდლად 30 მანეთი მისცა. გახარებული გურამი ჩვენთან მოვარდა, ფული ვიშოვე და საყიდლად წავიდეთო. ლესელიძეზე ფეხით წავედით – ტრანსპორტის ფულსაც ვიზოგავდით. კავშირგაბმულობის სახლთან იყო უნივერმალი, მის წინ იჯდა ახალგაზ-რდა, გამხდარი ქალი, გვერდზე სამი პატარა ბავშვი ედგა და მათხოვრობდა. პატარებს ყელზე ჭუჭყიანი სახვევები ეაეთათ, ეტყობოდათ, რომ ძალიან უჭირდათ.

ჯიბეები მოვიჩრიკეთ და, რაც გვქონდა, მივეცით. გურამი კი იდგა და მათ დაძაბული შეპყურებდა. როცა დაძაბული იყო, ცხენივით იწყებდა ფრუტუნს. მაშინაც ასე დაიწყო ფრუტუნი, მერე ამოილო ეს სიმწრით ნაშოვნი 30 მანე-თი და ერთ-ერთ ბავშვს კონსერვის ქილაში ჩაუდო. უხმოდ მოვბრუნდით და წამოვედით სახლებში. ამის შემდეგ ერთი წელი იარა გურამმა დაკერებული ფეხსაცმლით. ასეთი შემთხვევები ხშირი იყო.“

1 ლალიძის წყლები – კაფეს დასახელებაა.

კითხვის დაწყებამდე

დააკვირდი ნახატებს, მათზე ასახულ გარემოსა და ადამიანებს.



- როგორია მათი განწყობა, ერთმანეთისადმი დამოკიდებულება?
- შესაძლებელია, ეს ორი ნახატი რამით ერთმანეთს დაუკავშირო?
- როგორ ფიქრობ, რომელი ნაწარმოების ილუსტრაციად გამოდგებოდა ეს ნახატები?
- ჯერ დაწვრილებით აღწერე ნახატებზე ასახული ადამიანები, მათი გარეგნობა, ქმედება, განწყობა, ემოციები, ერთმანეთისადმი დამოკიდებულება, ხოლო შემდეგ შექმენი პატარა ამბავი, რომელშიც ამ ორ ნახატს გააერთიანებ.
- რა თემას ეხება შენი ამბავი? რა არის საჭირო, რომ ეს ამბავი მოთხრობად აქციო?

მე ახლა ბედნიერი კაცი ვარ

ნაწყვეტი მოთხოვიდან

(ამ ამბავს 25 წლის ვაჟა ჯანდიერი ჰყება)

დრო მიდიოდა.

მე გამოცდები ჩავაბარე.

ის ზაფხული თელავში გავატარეთ.

ყველაფერი ძველებურად იყო, მხოლოდ პაპა გიორგი, ბებოს ძმა

5 გარდაიცვალა. ჩვენ ისევ ისე ვიყავით, დედა, მამა, ბებო და მე.

ბებო შემოდგომისათვის ისევ დარჩა თელავში. ჩვენ, როგორც
მიღებული იყო, ნამოვედით. მერე ბებომ თავისებურად, კოხტად,
მზრუნველი ხელით ჩანყობილი ხილი გამოგვიგზავნა ყველა ოჯახს.
მალე თვითონაც უნდა ჩამოსულიყო. ყველანი მოუთმენლად ველო-
10 დით. ჩამოსვლას ხან დეპეშით, ხან ტელეფონით გვატყობინებდა
ხოლმე – სადგურზე მთელი ნათესაობა ვხვდებოდით.

იმ ღამეს გვიან დამეძინა. ახლა ჰემინგუეითი¹ ვიყავი გატაცებუ-
ლი. ძლივს ჩავიგდე ხელში მისი „მოხუცი და ზღვა“² და გვიანობამ-
დე ვკითხულობდი. ვიგონებდი ბებიაჩემს, ვადარებდი მეზღვაურის
15 სიცოცხლისუნარიანობას. დილით ადრე ვიღაცამ დარეკა. მე ნახევ-
რად გამომეღვიძა, მაგრამ კარის გაღება დამეზარა, თავი მოვიმძინა-
რე. დედამ ხალათი მოიცვა.

– გაიღვიძეთ, ალბათ, ბებო რეკავს, მისი ჩამოსვლის დროა, – თქვა
და კარისებრ წავიდა.

20 – ტელეფონზე გთხოვენ თელავიდან, – მოისმა მეზობლის ძმა,
მერე დედამ კარი მოიკეტა.

– ადექით, ადექით, ალბათ, ბებო ჩამოვიდა, – ვთქვი მე.

საბანი მაღლა ავაგდე, ხელები გავჭიმე; ჩქარა ავდექი. მამა ნელა
იცვამდა. მოგვესმა, თუ როგორ გაიღო სამზარეულოს კარი. მე ვხარ-
25 ხარებდი, მგონი, რადიოში გადმოსცემდნენ რაღაცა სასაცილოს.

ოთახში ნელა შემოვიდა დედა. ხმას არ იღებდა. თვალები სავსე ჰქონ-
და ცრემლებით.

– ბებო, – დაიწყო მან და ატირდა.

მე სახე მომელრიცა, ჩემს სანოლთან მივვარდი. თავზე საბანი

30 გადავიხურე, ზევიდან ბალიში დავიდე და ავქვითინდი. „ბებო, ბებო“,
მესმოდა ხმები, მერე მეჩვენებოდა, რომ ის ჩემთან მოვიდა და მია-
ლერსებდა. ახლა უკვე ხმამაღლა ვლრიალებდი: „ბებო მოკვდა, ბებო
მოკვდა, ბებო, ბებო, ბებო აღარ არის“. მერე რატომლაც დავმშვიდ-
დი, მომაგონდა თელავის კიბე, ზედ ამავალი ბებო, წელში მოხრილი,

1 ერნესტ
ჰემინგუე –
მე-20 საუკუნის
ცნობილი
ამერიკელი
მწერალი

2 „მოხუცი
და ზღვა“ –
ჰემინგუეის
ერთ-ერთი
ყველაზე ცნობილი
ნაწარმოები,
მცირე ზომის
მოთხოვნა

35 მოკუმული ტუჩებით მოვიდა ჩემთან, გვერდზე მომიჯდა და ფრანგულიდან მითარგმნიდა პირდაპირ **მოპასანს**¹, ახლა მეჩვენებოდა, რომ ვიღაცას ტუქსავდა, შემდეგ სარეცხსა რეცხავდა და **ალფრედ მიუსეს**² ლექსს ამბობდა. „ბებო, ბებო, ბებო აღარ არის“, გამიელვა ისევ და ავ-ღრიალდი კიდევ უფრო ხმამალლა.

40 მესმოდა ნაბიჯები, ვგრძნობდი, რომ ოთახი ახლობლებით გაივსო. არ უნდა მეტირა, ბებო სხვასთან არასოდეს ტიროდა, მაგრამ მე ხომ ის არ ვიყავი, არა მყოფნიდა თავშეკავება, ახლა აღარცა მრცხვენოდა და ვღრიალებდი მთელი ხმით. არავინ ცდილა ჩემს გაჩუმებას. ყველას მოსდიოდა ცრემლები, ქვითინებდნენ, ხმამალლა ტიროდნენ.

45 მეორე დღეს ჩამოასვენეს.

ორი დღე თბილისში ვიგლოვეთ.

გარდაცვალებიდან მეექვსე დღეს დავკრძალეთ ბებო ჩვენი, საშა.

საღამოს ნათესავები და მოყვრები მის შესანდობარსა სვამდნენ, იყო მისი სახელის ხსენება და ჩამოსხმული ლვინის რაკრაკი.

50 დაკრძალვიდან მთელი კვირა დავდიოდით საფლავზე. დედამ შავები ჩაიცვა, ძალიან დასუსტდა და აღმართზე ძლივს ამყავდა ხოლმე ხელ-კავით. დიდხანს ვრჩებოდით იქ. დედა ყვავილებს რგავდა, მე ნიჩბით ვმუშაობდი. მერე ვისხედით უხმოდ. თავში სულ ბებოს სახე მედგა, მისი გამრჯეობა, სიყვარული. წამომივიდოდა ცრემლები, ტიროდა დედაც.

55 აცივდა.

საფლავზე სიარული გაძნელდა.

ახლა უმეტესად შინ ვისხედით. მე გარეთ აღარ დავდიოდი, სმაც შეწყვიტე. სადილზე ჩუმად ვიყავით დედა, მამა და მე. ბებო აღარ იყო. მთელი სადილი, მის მერეც, გაცექეროდი ბებოს ადგილს და თავში

60 მიტრიალებდა, რომ ის აღარ არის, ე.ი. მოკვდა, ე.ი. გარდაიცვალა, აღარ არის. მინდოდა, უფრო მკვეთრად აღმექვა ეს ამბავი: ვათვალიერებდი ბებოს სურათებს. ჩემი გამრჯე, სიცოცხლისუნარიანი ბებო აღარ იყო, თითქმის ვერ წარმომედგინა, მეჩვენებოდა, რომ თელავში ცხოვრობდა. სულ გამოვიკეტე. ამხანაგების ნახვაც აღარ მინდოდა.

65 სახლში დავრჩით – დედა, მამა და მე. ჯერ ბუნდოვნად, მერე აშკა-რად შემოიჭრა ჩემს გონებაში, რომ ერთი უფროსი თაობიდან აღარ იყო. ახლა უკვე კარგადა ვგრძნობდი: სიკვდილს მე თვითონ მივუახლოვ-დი ერთი საფეხურით. ღამე აღარ მეძინა, ჯერ ბებოს გარდაცვალე-ბამ, ახლა ამ აღმოჩენამ სულ შემირყიეს სული. გიუივით ვიმეორებდი:

1 გი დე მოპასანი – მე-19 საუკუნის ფრანგი მწერალი

2 ალფრედ მიუსე – მე-19 საუკუნის ფრანგი პოეტი



70 „დავრჩით მარტო დედა, მამა და მე. ბებო მორჩა, ახლა დედა, მამა, მერე მეც“.
ხშირად დავიწყე სინანული, რომ მაშინ არ დავიხჩი; ისევ შემეპარა ეჭვი ჩემი
ცხოვრების სიუქმეში. რად მინდა, რად? ვისთვის? „ის“ უკვე ერთი თაობით ახლოს
იყო. უფრო ჩავიკეტე სახლში. ვერავის ვანდობდი ჩემს ფიქრებს. არც მინდოდა.
75 ვიცოდი, ძნელი იყო მისი გაგება, რადგანაც მე თვითონაც არ მესმოდა კარგად, თან
მრცხვენოდა, უზომოდ ეგოისტი, უსინდისო მეჩვენებოდა თავი, რომ ჩემი სიკვდილი
მადარდებდა. ამ ფიქრებში ვიძინებდი, ამ ფიქრებში ვიღვიძებდი.

გაგრძელება →

ტექსტის გააზრებისათვის

1. მოძებნე ტექსტში ადგილები, რომლებიც ამ ოჯახის ერთიანობას გამოხატავს.
2. რით გამოირჩევა ბებო? როგორ წარმოჩნდება ბებო ვაჟას მოგონებებში? რომელი
ეპითეტებით ახასიათებს მთხობელი მას?
3. რის თქმა სურს ავტორს ფრაზით: „როგორც მიღებული იყო“?
4. როგორ აღნერს მწერალი ვაჟას რეაქციას, როცა ბებოს გარდაცვალების ამბავი
გაიგო?
5. რატომ არ უნდოდა ვაჟას, ეტირა სხვების თანდასწრებით?
6. როგორ აისახა ოჯახზე ბებოს გარდაცვალებით მოგვრილი ტკივილი?
7. რატომ გაუჩნდა ვაჟას სიკვდილის შიში? რატომ უწოდებს სიკვდილზე ფიქრს
ეგოისტურს?
8. ამ მონაკვეთის მიხედვით როგორ დაახასიათებდი ვაჟას:
 - a. ხასიათის რა თვისებებს ამჟღავნებს?
 - b. როგორი დამოკიდებულება აქვს ოჯახის წევრებთან?
9. შენი აზრით, როგორ განვითარდება სიუჟეტი? დაასახელე კონკრეტული მინიშნებე-
ბი ტექსტიდან, რომლებსაც შენი ვარაუდი ეყრდნობა.

აპივთხება

მთხობლის ემოციებსა და დამოკიდებულებებზე დაკვირვება

1. მოძებნე ტექსტში მთხობლის ემოციებისა და დამოკიდებულების (პერსო-
ნაჟებისადმი, მთავარი პრობლემისადმი) გამომხატველი ფრაზები, წინადადე-
ბები და დაალაგე რვეულში ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით.

პერსონაჟის ემოციები და დამოკიდებულებები

| | |
|--|--|
| მთხობლის ემოციების გამომხატველი ფრაზები, წინადადებები | პერსონაჟებისადმი, მთავარი პრობლემისადმი დამოკიდებულების გამომხატველი ფრაზები, წინადადებები |
|--|--|

ნიმუში

იმსჯელე, კლასელებთან ერთად, რამდენად დაგეხმარა სქემის შევსება პერსო-
ნაჟეზე უკეთ დაკვირვებაში.